

გასაჩივრების წესი და ადმინისტრაციული საჩივრის ფორმა

„112“-ის კონკრეტული მოსამსახურის მოქმედებათა გასაჩივრება, რომელიც უშუალოდ უკავშირდება გადაუდებელი დახმარების შესახებ შეტყობინებების მიღებას და მათ შემდგომ მართვას, ასევე შეტყობინების ინიციატორთან „112“-ის მოსამსახურის ურთიერთობის საკითხებს, შესაძლებელია გასაჩივრდეს ზეპირი ფორმით, ერთიან ექსტრემალურ ნომერზე/„112“-ზე სატელეფონო შეტყობინების განხორციელების და პრეტენზიის დაფიქსირების გზით. ასეთ შემთხვევაში, პრეტენზიის ავტორის მიერ შეტყობინების მიმღებს უნდა მიენდოს სრულყოფილი ინფორმაცია გასაჩივრებული მოქმედების შესახებ (ზარის განხორციელების კონკრეტული ან სავარაუდო პერიოდი, შეტყობინების შინაარსი, გასაჩივრებული მოქმედების უზუსტობა, პრეტენზიის სხვა შინაარსი). ამ ფორმით მიღებული შეტყობინება ელექტრონულად აისახება შესაბამის პროგრამაში, რის საფუძველზეც „112“-ის მონიტორინგის სამსახურის მიერ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ხდება მისი შესწავლა და რეაგირება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საჩივრის შეტანა ასევე შესაძლებელია თანდართული ფორმის შესაბამისად ადმინისტრაციული საჩივრის წარმოდგენის გზით (მატერიალურად ან ელექტრონულად). მატერიალური ფორმით შევსებული საჩივრის წარმოდგენა შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ნუკუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზა, „112“-ის ადმინისტრაციული შენობა. ელექტრონული ფორმით საჩივრის წარმოდგენის შემთხვევაში საჩივარი ივსება ხელით ან ელექტრონულად და დასკანერებული დოკუმენტის სახით (pdf ფორმატში) იგზავნება შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: info@112.ge

„112“-ის მიერ მიღებული/გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და „112“-ის სხვა მოქმედებების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. N10) ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის გზით. ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ხოლო ქმედების გასაჩივრების შემთხვევაში - ერთი თვის ვადაში იმ დღიდან, როდესაც შესაბამისი დაინტერესებული მხარისათვის ცნობილი გახდა ამ მოქმედების განხორციელების ან განხორციელებისგან თავის შეკავების შესახებ.

დაინტერესებულ პირს საკუთარი უფლების დასაცავად შეუძლია ნებისმიერ დროს მიმართოს სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

(მიეთითება ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება,
რომელშიც შეიტანება საჩივარი)

(მიეთითება საჩივრის წარმდგენი პირის ვინაობა - ფიზიკური პირის სახელი, გვარი;
იურიდიული პირის დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი,
უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი, გვარი)

(მიუთითეთ საჩივრის წარმდგენი პირის მისამართი და ტელეფონის ნომერი)

ს ა ჩ ი ვ ა რ ი

(მიეთითება იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომლის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მოქმედებაც
საჩივრდება, ასევე გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასახელება ან კონკრეტული მოქმედების შინაარსი)

(მიეთითება საჩივრის არსი/კონკრეტული მოთხოვნა და გარემოებანი, რომელთაც აღნიშნული მოთხოვნა ეფუძნება. საჩივარს
შეიძლება თან დაერთოს ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საჩივარში მითითებულ ფაქტებს/გარემოებებს და
რომელსაც მიზანშეწონილად თვლის საჩივრის წარმდგენი პირი. თუ საჩივარი შეიტანება წარმომადგენლის მეშვეობით, საჩივარს თან
უნდა დაერთოს წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი)

(თარიღი: დდ/თთ/წწ)

ხელმოწერა

(ივსება მხოლოდ საჩივრის მატერიალური
ფორმით წარდგენის შემთხვევაში)